თანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას შორის

ქ. ბათუმი **02 თებერვალი 2022 წელი**

ერთი მხრივ, **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია,** წარმოდგენილი ქ. ბათუმის **მერის, არჩილ ჩიქოვანის** სახით და მეორე მხრივ, **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია**, წარმოდგენილი ხელვაჩაურის **მერის, ზაზა დიასამიძის** სახით (შემდგომში - „მხარეები“), სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოთქვამენ თანამშრომლობისთვის მზადყოფნას.

მუხლი 1.

ითვალისწინებენ რა ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს შორის კავშირების მნიშვნელობას ადგილობრივი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარებისათვის, ახალი, ინოვაციური ინიციატივების განხორციელებისათვის, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მხარეები მიზნად ისახავენ აღნიშნული კავშირების ხელშეწყობას თავიანთი მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების შესაბამისად. კერძოდ, ისინი ითანამშრომლობენ შემდეგი მიმართულებებით:

- მოსახლეობისათვის ინტეგრირებული სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზება;
- სამგზავრო ტრანსპორტის სფეროში ერთიანი სტანდარტების შემუშავება;
- საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სამგზავრო ტრანსპორტის ერთიანი სატარიფო სისტემის შემუშავება;
- ტრანსპორტის მარშრუტების, მოძრაობის სქემისა და გრაფიკის შემუშავება;
- ყველა სხვა მიმართულება, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალეტეტების ტერიტორიებზე რეგულარული ტრანსპორტის მგზავრთა ინტერესების გათვალისწინებას და დაცვას.

მუხლი 2.

1. თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და სფეროები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ით.
2. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ქმედებათა განხორციელება შეიძლება განისაზღვროს დამატებითი წერილობითი მხარეთაშორისი შეთანხმებით, რაც წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3.

წინამდებარე მემორანდუმში, მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 5.

წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 6.

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 4 (ოთხი) წლის ვადით.
2. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადა გაგრძელდება ავტომატურად, თუ ერთ-ერთი მხარე წერილობით არ მოითხოვს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტას, მისი ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე მაინც.
3. წინამდებარე მემორანდუმის ვადაზე ადრე მოშლა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი ფორმით ინფორმირების გზით, შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

მხარეთა რეკვიზიტები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ. ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი

ქ. ბათუმი, 6110
ლ.ასათიანი ქ. №25
ტელ: (0422) 27 26 26
ელ.ფოსტა: info@batumi.ge
ვებ-გვერდი: https://batumi.ge/

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია
ხელვაჩაურის მერი ზაზა დიასამიძე

ქ.ბათუმი, 2200
დიდაჭარის ქ. 23.
ტელ.: (0422) 25 93 13
ელ.ფოსტა: khelvachauri.mun@gmail.com
ვებ-გვერდი: https://khelvachauri.ge/